

eCloud

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის
ღრუბლოვანი გამოთვლითი სერვისები

თანამედროვე ორგანიზაციული მართვა და
ოპერაციები ყველა სფეროში დაფუძნებულია
ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, რომლებიც, თავის
მხრივ, საჭიროებენ მონაცემთა ძირითად და
სარეზერვო ცენტრებს, მონაცემთა შენახვის
სისტემებს, სერვერულ და ქსელურ
ინფრასტრუქტურას, გაგრილებას, ცეცხლქრობას,
კვალიფიციურ ადმინისტრატორებს და მრავალ სხვა
ძვირადღირებულ ტექნოლოგიას თუ სერვისს.
როდესაც სიმძლავრეები ვეღარ აკმაყოფილებს
გაზრდილ დატვირთვებს, საჭირო ხდება განახლების
პროცესების ჩატარება თანმდევი პრობლემებითა და
სირთულეებით.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება
საშუალებას იძლევა პრაქტიკული პასუხი გაეცეს
ყველა ამ სირთულეს - ეს არის ვირტუალიზაციაზე
დაფუძნებული „ღრუბლოვანი“ ტექნოლოგია,
რომელიც საშუალებას იძლევა მთელი თქვენი
სერვერული ინფრასტრუქტურა განთავსდეს
„ღრუბელში“ და მოგეხსნათ ყველა ის პრობლემა და
ხარჯი, რაც ამ ინფრასტრუქტურის შენახვასა და
მართვასთან არის დაკავშირებული.

ასეთ სისტემაში მაუსის ერთი დაწკაპუნებით
შეგიძლიათ მიიღოთ ახალი სერვერი, სერვერების
ბლოკი, ქსელური მონაცემები, დინამიურად
გაზარდოთ ან შეამციროთ სერვერული რესურსები -

პროცესორები, ოპერატიული და დისკური
მეხსიერება. და, რაც მთავარია, თქვენ არ ზრუნავთ
სერვერების შენახვასა და ოპერირებაზე!

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის **eCloud**
პლატფორმა გთავაზობთ მაღალი დონის,
დუბლირებულ, აქტივ-აქტივ მონაცემთა ცენტრებში
განთავსებულ ღრუბლოვან სერვისს - **1000**-ზე მეტი
მაღალი წარმადობის სერვერით და მონაცემთა
შენახვა/დამუშავების სისტემით, კვალიფიციური
ადმინისტრატორებით, მონაცემებისა და
პროგრამული უზრუნველყოფის მსოფლიოს წამყვანი
მწარმოებლების მხარდაჭერით.

eCloud სისტემა შესაძლებელს ხდის **64** ბირთვიანი,
3000 IOPS სიმძლავრის და რამდენიმე გიგაბიტი
ქსელური გამტარობის სერვერების მიწოდებას
მომხმარებლისათვის. საჭიროების შემთხვევაში
სერვისს შეიძლება დაემატოს **web application**
firewall, DDoS შეტევებისა და ქსელური შემოჭრისგან
თქვენი სისტემების დამცავი აპარატურა.



www.eCloud.ge

eCloud

ღრუბლოვანი გამოთვლითი
სერვისები




სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
გორგასლის ქუჩა 16, თბილისი 0114, საქართველო

☎ 1551

✉ 1551@mof.ge

🌐 www.fas.ge



☎ 1551

✉ 1551@mof.ge

🌐 www.fas.ge